

# Capacryl PU-Satin / PU-Gloss

მაღალი ხარისხის, დაკანჯრისა და დარტყმის მიმართ მედეგი ემალი/საღებავი აკრილის ბაზაზე. ექსტერიერსა და ინტერიერში გამოსაყენებლად.



## პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

მაღალი ხარისხის ემალი/საღებავი შუალედური და საბოლოო ფენებისთვის. ზუსტი ზომის მქონე დაგრუნტული ხის ელემენტების, დაგრუნტული მეტალის და მყარი პოლივინილქლორიდის (PVC) ზედაპირებისთვის. არ გამოიყენოთ თეთრი ფერის ტონალობები გამათბობელ რადიატორებზე, რადგან სითბომ შესაძლებელია გაყვითლება გამოიწვიოს.

თვისებები

- წყალდისპერსიული
- სუსტი სუნის მქონე
- სადეზინფექციო საშუალებების მიმართ მედეგი
- დიფუზიის უნარით
- დაკანჯრის და დარტყმის მიმართ მედეგი
- საყოფაცხოვრებო სანმენდი საშუალებების მიმართ მედეგი
- სველი მოხეხვის კლასი1, DIN EN 13300 სტანდარტის შესაბამისად
- გამოდგება ბავშვების სათამაშოებისთვის, DIN EN 71-3 სტანდარტის შესაბამისად

მასალის შემკვრელი

პოლიურეთან-აკრილის დისპერსია

შეფუთვა

	Capacryl PU-Satin	Capacryl PU-Gloss
<b>სტანდარტული:</b>	375 მლ, 750 მლ, 2,5 ლ., 10 ლ	750 მლ, 2,5 ლ
<b>ColorExpress:</b>	350 მლ*, 700 მლ, 2,4 ლ 9,6 ლ.*	700 მლ*, 2,4 ლ
*არა Y და R-ის ბაზების შემთხვევაში		

ფერი

თეთრი

სხვა ფერებში შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-სადგურების მეშვეობით.

Capacryl PU-Satin-ის ინტენსიური და მუქი ფერების გამოყენებისას შესაძლოა ზედაპირზე ალინიზმის დროებითი პიგმენტური ცვლათა - ინტერიერში საჭიროა Capadur Parkett- und SiegelLack-ით საბოლოო გამჭვირვალე ფენის დატანა.

სუსტი დაფარვის მქონე ფერების (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი) გამოყენებისას გირჩევთ ფერის შესაბამისი საგრუნტავი ფენის დატანას. Capacryl PU-Satin-ის და Gloss-ის, Capacryl Haftprimer-ის და Capacryl PU-Vorlack-ის შეფერადება შესაძლებელია საგრუნტავი სისტემის ფერებში, ColorExpress-ის შეფერადების ტექნიკით.

სიპრიალის ხარისხი

**Capacryl PU-Gloss:** პრიალა  
**Capacryl PU-Satin:** აბრეშუმისებრი მქრქალი (ნახევრად მქრქალი)

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ პირობებში, დაიცავით ყინვისაგან.



# ტექნიკური ინფორმაცია N. 052

ტექნიკური პარამეტრები

სიმკვრივე: დაახლ. 1,3 გ/სმ<sup>3</sup>

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+
(-) არ არის შესაფერისი / (○) შებენიერად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

## გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

დაგრუნტული ზუსტი ზომის მქონე ხის ელემენტები, ლითონები, მყარი პოლივინილ-ქლორიდი (PVC). ზედაპირი უნდა იყოს მყარი, მშრალი და სუფთა. მასზე არ უნდა იყოს ადჰეზივის ხელის შემშლელი ნივთიერებები. ხის ელემენტების ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 13%-ს.

დატანის მეთოდები

Capacryl PU-Gloss/PU-Satin-ი შესაძლებელია დაიტანოს ფუნჯით, გორგოლაჭით ან მიფრქვევის მეთოდით, მაღალი ამ დაბალი წნევის გამოყენებით. გამოყენებამდე კარგად ამოურიეთ და შუალედური ფენა საჭიროების შემთხვევაში გააზავეთ 5-15% წყლით. ფუნჯით დატანისას გამოიყენეთ Orelmix-ფუნჯი.

ხელსაწყოს ზომა უნდა შეესაბამებოდეს დასამუშავებელი ზედაპირის ზომას, იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს მასალის მარტივი და სწრაფი წასმა და დროული მომდევნო დამუშავება (დამატებით იხილეთ ინფორმაცია პოლიურეთანის ლაქების და ემალების დამუშავების შესახებ).

მითითებები მიფრქვევით დატანისას:

	Ø ნახვრეტის სისქე	გაფრქვევის წნევა	ჰაერის წნევა	გაზავება
უჰაერო (Airless)	0,008 – 0,011 ინჩი	200 ბარი	-	მაქს. 5 %
Airmix/Aircoat	0,011 – 0,013 ინჩი	120 ბარი	2 – 3 ბარი	მაქს. 5 %
დაბალი წნევით	1,8 – 2,2 მმ	-	დაახლ. 0,5 ბარი	მაქს. 15 %
მაღალი წნევით	2,0 – 2,5 მმ	-	2 – 3 ბარი	მაქს. 15 %

## დაფარვის თანმიმდევრობა

ზედაპირი	გამოყენების არე	ზედაპირის მომზადება	გაფლენთვა	დაგრუნტვა	შუალედური ფენა	საბოლოო ფენა
ხე, ხის მასალა	ინტერიერი	გაიშლიფოს/ გაიწმინდოს	-	Capacryl Holz-IsoGrund 1)	Capacryl PU-Vorlack 2)	Capacryl PU-Gloss / PU-Satin 3)
ზუსტი ზომის ხის ელემენტები *	ექსტერიერი	BFS Nr. 18	Capacryl Holzschutz-Grund	Capacryl Holz-IsoGrund 1)		
რკინა, ფოლადი	ინტერიერი	მომორდეს ჟანგი/ გაიწმინდოს	-	Capalac AllGrund		
	ექსტერიერი	მომორდეს ჟანგი/ გაიწმინდოს	-	2 x Capalac AllGrund		
თუთია	ინტერიერი/ექსტერიერი	BFS Nr. 5	-	Capacryl Haftprimer		
ალუმინი/სპილენძი	ინტერიერი/ექსტერიერი	BFS Nr. 6	-	Capacryl Haftprimer		
მყარი-PVC	ინტერიერი/ექსტერიერი	BFS Nr. 22	-	Capacryl Haftprimer		
ძველი მზიდი დანაფარი	ინტერიერი/ექსტერიერი	გაიშლიფოს / დამუშავდეს ტუტით	-	Capacryl Haftprimer		

\* ზუსტი ზომის მქონე ხის ელემენტებზე საჭიროა ორი ფენა შუალედური ფენის დატანა, BFS-Merkblatt Nr. 18-ის შესაბამისად.

- 1) წყალში ხსნადი ნივთიერებების შემცველ ხის ჯიშებზე ყოველთვის გამოიყენეთ Capacryl Holz-IsoGrund-ი. კოჭრების ადგილები დაამუშავეთ 2-ჯერ.
- 2) შუალედური ფენის ტონალობა უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო ფენისას. სუსტი დაფარვის მქონე ფერების (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი) გამოყენებისას ColorExpress-ის მეშვეობით ავტომატურად შეირჩევა ისეთი ტონალობა, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო ფენის დაფარვის უნარის გაუმჯობესებას.
- 3) სუსტი დაფარვის მქონე ფერების (წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი) გამოყენებისას შესაძლებელია საჭირო გახდეს განმეორებითი ფენის დატანა. დაზიანებული ადგილები დაამუშავეთ არსებული ზედაპირის შესაბამისად.

მითითება: ფხვნილოვან ან Coil-Coating-საფარზე მოახდინეთ საცდელი დატანა ადჰეზიის შესამოწმებლად.

ხარჯი

დაახლ. 100-120 მლ/მ<sup>2</sup> ერთ ფენაზე  
ზ.ა. მონაცემები არის საორიენტაციო და დამოკიდებულია ზედაპირისა და გარემო თავისებურებებზე. პროდუქტის ხარჯის ზუსტი განსაზღვრა მხოლოდ სასინჯი დატანით.

გამოყენების პირობები

მასალის, ჰაერისა და ზედაპირის ტემპერატურა არანაკლებ +8 °C.

შრობის დრო

20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში	მტვრისადმი მედეგი	მომდევნო ფენის დატანისთვის მზად	საბოლოოდ გამშრალი
დრო (საათი)	1 – 2	10 – 12	48

დაბალი ტემპერატურა და მაღალი ტენიანობა ზრდის შრობის დროს.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოების დამთავრებისთანავე გაირეცხოს წყლით.

## მითითებები

რისკები / რჩევები უსაფრთხოებისთვის

**მოარიდეთ ბავშვებს!** არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. კანთან ან თვალბინთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. საშლიფი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ შეფრქვევისას წარმოქმნილი "ღრუბელი". გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2.

შეიცავს: 1,2-ბენზოთიაზოლ-3(2H)-ონი, 5-ქლორო-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის ნარევი [EC No.247-500-7] და 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი [EC No. 220-239-6] (3:1), 2,4,7,9-ტეტრამეთილდეკ-5-ინ-4, 7-დიოლი, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. შეფუთვა პროდუქტის თხევადი ნარჩენით ჩააბარეთ ძველი ლაქების ჩამბარებელ პუნქტში, ხოლო მყარი ნარჩენი როგორც სამშენებლო ან საყოფაცხოვრებო ნაგავი.

**VOC**  
(აქროლადი ორგანული  
შენაერთების ზღვრული  
კონცენტრაცია ევროკავშირის  
სტანდარტის შესაბამისად)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/d): 130 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ 110 გ/ლ აქროლებად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

Giscode

BSW30

პროდუქტის კოდი  
საღებავები და ლაქები

M-LW01

შემადგენლობა

პოლიაკრილატის ფისი, პოლიურეთანის პოლიაკრილატის ფისი, ტიტანის დიოქსიდი, სილიკატები, წყალი, გლიკოლები, გლიკოლის ეთერები, ესტერის სპირტი, დანამატები, კონსერვანტები.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შექმნა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

**შპს. კაპაროლ ჯორჯია**

ალ.ქართველიშვილის ქ. N°8  
0198 თბილისი, საქართველო  
ელ.ფოსტა: office@caparol.ge  
www.caparol.ge